

სალიცადი  
აირველი12 გვე  
1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოის ცოდნას სახლების ზემოდ.

ფასი 1 ლარი

ხელის მომერა: ტფილის, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიომების სახლების ზემოდ. № 5  
ქუთაის, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად... 6 მან. —  
თითო ნომერი ..... — 15 კაბ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს  
დასაბუღდათ გამოგზავნილ წერილებს.  
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი:** I. ზოგიერთი რამ, წერილი მესამე — II. საქართველოს მატიანე — III. ომის ამბები — IV. საპოლიტიკო მიმოხილვა. — V. ო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი. — VI. კორელაციონდენციები. — VII. წერილი ზეტერბურლიდამ. — VIII. ქალაქის სცენებისაგან. — IX. განცხადებანი.

### ყ რ გ ი მ რ თ ი რ ა მ

ჩეენ ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, უოფა-ცხოვრებაზე და სხვ.

### III

თბილის საქართველო ანუ ქეხეთი \*

უქმებელია, ბევრი ქართველთაგანი გერც კი წარმოიდგენს იმ სატანჯელს, რომელიც ოსმალებმა მიაუქნეს მესხეთს. ოსმალი გრძნობდნენ ქართველი ტომის ახოვანებას და სამხედრო გამოცდილებას, ამისათვის შიძობდნენ, რომ თუ ამერნი და იძერნი მჟიდრთდ მოუქნილს ერთ გვარ-ტომობისაგან

მესხეთს მხარს მისცემდნენ, ეს ბარბაროსი ამ ადგილში ვერ გაიდგა ამდნენ თავის ფეხს. ეს იყო უბირველესი მიზეზი, რომ იმათ თავ და ზირველდა და სატიკი დევნულება აუტექს ერველსავე მესხეთის-წესდების, ზნეობას, ენას და თვით სარწმუნოებას რომ ქართველობა მასეს ტემინათ და ბოლოს სრულებით ამოებებთათ, მაშინ, როდესაც სხვა სარწმუნოებისა და შთამომავლობის ტომნი, მაგალ. სომქენი მესხეთის მოსახლენი, არა დევნულებაში არ ჩაციივნულან. ოხმალნი შეუბრალებლივ ჰქონდნენ და ქლებდნენ ჩვენ მომეტ ლივანაში, მავშეთში, ერუშეთში, ფოცხოვში და არტანში. ოსმალთ დასაწეისითვე იქ თავიანთი წესი შემოიტანეს: მესხეთი ფაშალიქად გახადეს და სანჯაუებად დაცევეს. იმათ რიცხვში რუსეთმა 1829 წელს საქართველოს დაუბრუნა მხოლოდ ხეთი სანჯაუი: ახალციხისა, აწეურისა, ასპინძისა, ხერთვისისა და ახალქალაქისა. ბატონ-უმობა გააუქმეს და ამის გამო მრავალნი თავად-აზნაურთაგანნი ქართლ-განეთში და იმერეთში გადაციივდნენ. აი რას ამბობს ქართლის ცხოვრება მეჩივიდვებელ საუკუნის დამდები იდამ: „აღარ იურ ხევება არც თავადისა, არც მთავრისა, არც აზნაურისა, მათ მაგიერ შამოვიდა ფაშობა, ბევრი და აღობა, ხალხი ისტერეს: კაცის თავზე ხარჯი თვითო დრაკანიდაა წესეს, მემვიდედი ეოვლის მიწის მოსავალზე და ხე-ხილზე, ორ-ორი შაური ცხვარზე, აბაზი ხარზე და კამბეზზე, ათი შაური ფაშის სასარგებლობ. საქანი-სკობოსოები და მონასტრები დასცეს და მათი ქონება და ავეჯულობა დაიტაცეს, ეპლესიების მაგიერ მეჩეთები აღმართებს, მაგმადიანობას მაღით ავრცელებდნენ.“ ასლან მეორის დროზე (1705—1708) გახუშტი სწერს: „ქრისტიანებად დარჩენენ მხოლოდ მცირედი გლეხნი ჯავანეთში, ნაკლებნი შავშეთში, აჭარაში და არტანში. გარდა ენისა ქართველობა გაუქმდა.“

### \* ვეცდომანი:

„ეკატერინე“ № 8-ში: გეგმა 12,

სტატონი 11: „ოთანე მთა-წმინდელის შეგრძნოლს“

ამის შავიერ უნდა იყოს: გოთიკი მთაწმინდელისაგან შეგრძნოლს

„ეკატერინე“ № 17: „ქათე საუკ. ათანასესაგან.“ უნდა იყოს: ქათემეტეს საუკ. ექვთიმესაგან.

„ეკატერინე“ № 10-ში.

გეგმა 8, სტატონი 11: Becherches უნდა იყოს Recherches, ეკატერინე 37 1828 უნდა იყოს: 1833 წ.

გეგმა 9, სტატონი 28: 1834 წ. უნდა იყოს 1833 წ.

მაგრამ იმედი დაკარგული არ არის. აი რა შენიშნა ზემოდ-ხესენბულში დუბუა დე მონპერემ 1833 წ. ასალცის შეარქებ: „La race indigène, da race autochthon, malgré les milliers d'années, est toujours géorgienne“. აქაური მოსახლობა, აქაური ძირეული ტომი, ათასობის წელთ წინააღმდეგ, უფელების ისევ ქართველი ტომიათ. ისინი ისევ მთლად დაუბრუნდებოდნენ მამაკანის სარწმუნოებას, რომ არ მიმობდნენო, რომ ოშმალი ღვესმე ისევ დაიბრუნდენ ამ მხარეს და ხალხს ისევ მელებურად მკაცრად მოექმენდიანო.“ ეს აზრი ღუბუასი უსაფუძლო აზრი არ არის. ამ სტატიის ავტორი 1873 წელს თვითონ კოფილა მექნეთში, მოუვლია ბათუმის მაზრა, მთელი კინტრიშისა და აჭარის ხეობაები, გამოუკვლევია იმ მხარის წარსული და აწინდელი მდგომარეობა და შეუნიშნავ შემდეგი:

მთელი მესხეთი ჭანეთით, რომელიც ოსმალოს მფლობელობაშია, თავისის სივრცით ერთი-ორად უდრის იმერეთს ანუ ქუთაისის გუბერნიას. ის შეადგენს ჭოროხის ბასენის თავისის ხეობაებით; ამ ხეობაებში მომდინარებენ მდინარეები — აჭარის-წელი; ოლთის-წელი, თორთომის-წელი და სხვანი, რომელიც აქა-იქ ერთვიან ჭოროხის წელი. ჭოროხის ბასენისა და შავ-ზღვას შეა აღიმართება ჭანეთის მთა; ამ მთის კალთებში ზღვის ზირად მელადვე სახლობენ ჭანები ანუ ლაზები. მთელი ის სივრცე, რომელსაც აქ ვიხსენიებთ, უკირავს ქართველ ტომს ეს ტომი მთელს კინტრიშისა და აჭარის ხეობაებში ვიდრე იქამდე, სადაც ექვს ვერსხე ბათუმს იქით, ჭოროხი შავ-ზღვას ერთვის, წარმოგიდვენთ ნამდგილ გურულებს. ეს ადგილები მართლადაც კაი-ხანი გურულების სამყლობელოს შეადგენდნენ. აქ ეველა მოსახლენი წმინდა ქართველები არიან: აქ ვერ ნახავთ ვერც ურიას, ვერც სომქებს, ვერც ოსმალოს, ვერც ბერძენს. აქ სუფეს გურული ენა, თუმცა ამ ენას მცირედ შერეული აქვს ჭოვიერთი ოსმალური სიტევები. ჭოროხის ხეობის ზირად მარჯვნივ და მარცხნივ, ქართულივე ენაა ხმარებაში. რამდენადაც ჭოროხის ზირს ჰმორდებით, იმდენად ენა ანუ გარევნილია, ანუ დამონავებულია ოსმალურის ენისაგან. საზოგადოდ კი ის ვრცელდება თვით სომხეთის საზღვრამდე ასე რომ, როგორც ერთს ფრანცუზს ფონტანიეს (1830 – 1833 წ.) ადგილობრივ შეუნიშნავს, ბაიბურთში ქართველი ენა თურმე ისმის. საზოგადოდ კი უნდა დავურთოთ აქ, რომ ვერ კიდევ ქარგად არ არის გამოკვლეული სად და სად ჭოროხის ხეობაებში, გარდა აჭარისა, ნამდგილ რამ მდგომარეობაშია ჩვენი ენა. ჭანერი ენა, როგორათაც მეცნიერებისაგან დასკვნილია, მალიან ცოტათი განსხვავდება მეგრულს, და შეადგენს ქართველის

დედა-ენის შტოს. ზოგიერთნი, იმათ შორის თვიდ ვახუშტი, ჭანერის ენის საზღვრად უჩვენებენ რეინის ბალოს ტრაპიზონის მასლობლად ჩვენის აზრით ეს ზოგიერთნი სცდებიან. თვით ქრისტეს წინად ბერძნის მეცნიერნი, ჰეროდოტე (484 – 406 წ.), და სტრაბონი (იმპ 60 წელს) ჰმოწმობენ, რომ ჭანენი იუგნენ გავრცელებული ტრაპიზონის დასავლეთად თითქმის აწინდელს ეიზიდე-ერმაკის მდინარეებდე. ამის თანახმად ქსენოფონტევ (445 – 355 წ.), იმის სიტუაცით ტრაპიზონი მდებარებდა ჭანების გვევანაში. ქართლის ცხოვრებაც ზირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ტრაპიზონს ჭანების სოფლად მოიხსენიებს. ოშმალოს გეოგრაფი ჰადვი-ხალფა მეჩვიდმეტე საუკუნეში მომატებულს ნაწილს ტრაპიზონის მცხოვრებისას ჭანებად შხადის. თვით ის ფონტანიე, რომელიც ზემოდ მოგვავს, გვიმოწმებს, რომ ჭანები სცხოვრებენო ტრაპიზონის დასავლეთად ჩილდირის კიდემდე, თუმცა, იმისივე სიტუაცით, ბერძნული ენა შემორეულია ტრაპიზონის აღმოსავლეთად მაპრაგმდე ქემერთან.

თუმცა რამდენიმე საუკუნოა გავლილი მას შემდეგ, რაც ოშმალოს ქართველნი ანუ მესხენი ჩვენგან მომორებულნი არიან, მაგრამ აქამომდე ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ჩვენში არც ხასიათით, არც წერობით და ჩვეულებით და არც შინაურის ეოფა-ცხოვრებით, ამას ვმოწმობ მე თვითონ კინტრიშის ხეობაზე, აჭარაზე და ბათუმის გარეშემო ადგილებზე; ამასებ მიმტკიცებდნენ ადგილობრივნი მცხოვრებნი იმ მესხეთის ნაწილებზე, სადაც მე არა ვეოფილვარ. საკირველია, რომ მთელს მესხეთში ისეა განთქმული თამარ მეფის სახელი, როგორც ჩვენში. იქ თამარს მიაწერენ ეოველს მეველს შენობას, ციხე-სიმაგრეებს, მშენები სიდებს და ტაძრებს. ისიც საკვირველია, რომ ოშმალოს საქართველოში თამარს გარდა სხვა მეფებზე ვერას გაიგონებთ. ამასთანავე ესეც უნდა შევნიშნოთ რომ მთელ ოშმალოს საქართველოში მამა-ზაპური აღსარება აქამომდე არ არის დაგიწევებული. იქ ბერძნი მაშადიანობას მხოლოდ გარეგან აღიარებენ; გულში კი ისევ ჩვენს სარწმუნოებას იცავენ. ამის დასამტკიცებლად მრავალი საბუთი გვაქვს. სამარხვო დღეებს მეველებურად ინახვენ, სადღესახწაულო დღეები ისევ იციან. როგორათაც საფარაში და ვარძიაში, აგრეთვე სხვა ადგილებში ქართველი მუსულმანნი ეოველთვის იკრიბებიან და ლოცველობენ მსხვერპლის შეწირვით: სანთელ-საკმლით, ქათმით, ცხვრით და სხვ. ამბობენ, დიდ-ძალი ხალხი დაიარებათ 14 სეპტემბერს ხანელის მდგომარებლის მონასტერში, რომელიც მდებარებს მომორებით ჭოროხის ხეობაში და რომელიც მეგრების მდგომარებელი მთელს საქართველოში. სახელის მდგომარებლის ხატი,

როგორც კველამ ვიცით, გელათში ასევნია და დავით-აღმაშენებელისაგან და თამარ მეფისაგან მდიდრადა არის შექული. ხანულის მოსახრეო აქამომდე მთლად არის და დაცულია იქაურის ქართველობისაგან. რომ აქა-იქ ჭოროხის ხეობაში ქართველების რიცხვში არიან ნამდვილი ჩვენის აღსარების ქრისტიანენი, ეს უფრო ამისოვის არის დასაჯერებელი, რომ ფარხალის ხეობაში, ის, სადაც მშვენიერი ხელოვნების ძველი მონასტერია ფარხალი, 1874 წელს უფ. კაზბეგმა პარფა რამდენიმე ქართულთ მართმადიდებლობის სარწმუნოების მრევლი, რომელსაც თავისი საკუთარი მდვრელი თურქე ჰქანს გვარად დებრაძე. რომ მრავალნი უნდა იუგნენ აქამომდე ოსმალოს საქართველოში ქრისტიანი, იღუმალ ანუ ცხადად აღმსარებელი მამა-პაპურის სარწმუნოებისანი, ამაში ჩვენ ჩვენის მხრით არ ვიშვნეულობთ. ასე რომ არ იუოს იქაური მველი ტაძრები და მონასტრები სრულებით უნდა იუგნენ დარღვეული და გაუქმებული ოსმალთაგან ჰსხანს ისინი დაუკავს ქრისტიანების მეცადინეობას. მართლა და იქაური უმშვენიერები ეკვლებიები, აქამომდე მთლად არიან, მაგალითებრ: შავშეთში თბეთი, ლივანაში თბიზა, ანხა, ბანა, იმხანი, კოში, ხანული და ფარხალი. ამ ქამად ჩვენა გვაქმს ხელად ფოტოგრაფიული სურათები ხანულისა, იმხანისა და კოშისა. გარდა ამისა კაზბეგისაგან არის გადმოხატული ფარხალი, თბეთი და თბიზა. ჰსხანს ამ ტაძრებს ოსმალები არც შექმნიან და არც ეხებიან. იმათი ხელოვნება არის განვითარებული, უკეთესი მთლის საქართველოს ეკვლებიების რიცხვში. ზოგიერთი იმათი წარწერათაგანი გადმოუდიათ სხვა და სხვა დროს აბიხს, ხანიკოვს, კოხს და სომხის გარტაპეტს ნერსეს სარგისიანს. ეს წარწერანი ეკუთვნიან მე IX-XI და XII საუკუნეებს. ნერსეს უმგ ზავრნია ჭოროხის ხეობაში 1843-1853 წელს და ის ამბობს, რომ „აქ მრავალი ეკვლებია ვნახეო ქართულის წარწერებით, მაგრამ საუკედუროდ ვერ შევიძლიო ამ წარწერების გადმოხატვა.“

ამით ვასრულებთ ამ სტატიას; მაგრამ ვიდრე აქ კალამს დავდებდეთ არ შავგიმლიან ჩვენი დიდი-ხნის მხურვალე წარდილი არ წარმოგთქვათ. ისტორიული მოძრაობა ჩვენის დროისა ის არის, რომ მველის დროიდამ გაცალევებული ერთ გვარ-ტომის ნაწილი ერთმანეთს უკავშირდებიან და უერთდებიან. უმედოვნებთ, რომ ახლანდელი ბრძოლა რუსეთისა და ოსმალოს მორის, ბრძოლა, რომელიც ჩვენმა ხელმწიფე-იმპერატორმა აუგესა, „ჩაგრულთა დასახსნელად და მხაგვრულთა დასათრგუნებლად“ იმით

დასრულდეს, რომ მესხნი და ჩვენ ერთი მეორეს ისევ შეგუერთდეთ მეგლებურად, მმურად და, — ვისურვოთ ველამ, — საუკუნოდ.

## საქართველოს მატიანე

— 19 აპრილს კახეთის თავად-აზნაურთა მხედრობას მოუწოდა თავი სოფელს ველის-ციხეს. აქავ სხვა და სხვა ადგილებიდამ მოგროვებული კარგა ბლომად ქალი და კაცი მხედრობის სანახავად და ზოგი გამოსასალმებლად. 24-ს აპრილს გამოუტანიათ თავად-აზნაურობის ბაირადი და დიდის ხალხის თანდასწერებითა შარაკლისი გადებდიათ. ბლალობინს მდვრელს სამსონ კონაძეს წარმოუთქვამს სიტყვა და სხვათა შორის უთქვამს: „დღეს რუსეთს ებრძეის ის მტერი, რომელიც ჰსწოვდა საქართველოს სისხლსა. ეს ის მტერია, რომელიც ჰსთესავდა დგარძლსა შვილისა და მამის შუა, მემბისა და მეზობლების შუა, მეფეთა და უმათა შუა, ეს ის მტერია, რომლის ხელში დღესაც ჰქნების მველი ერუშეთი, აქარა თავისის ქართველობით“.

თ. ზაქარია ანდონიკაშვილსაც წარმოუთქვამს სხვათამორის, რომ დღეს ჩვენ გავდივართ ოსმალეთან საომრათაო. ჩვენი მმები ქართველები დღესაც იმათ ხელში, იმათის კირთების ქვეშ იმუოფებიანო, დარწმუნებული გარო, რომ ჩვენი ქართველი გაცი მათის დახსნისათვის თავს შექსწირავსო და არ დაიშვრებს თავისის სისხლის დანთხვასაო.

გლეხის დედა-კაცობა თურქე ლოცვითა და გურთხვევით იხსენიებდა მხედრობასა, და დიდი კოფა იუვო ერთობა.

იმ დღეს თ. ჯანდიურიშვილს მხედრობისათვის სადილი გაუმართავს.

25-ს აპრილს მხედრობა წარმოსულა ტფილისისაკენ. წენოსანთა ქალთა და კაცთა გამოუტანილებიათ მხედრობა ქოდალამდე აქ თ. ზაქარია აბელისძეს ანდონიკაშვილს დიდი სადილი გაუმართავს და მხედრობა მიუწვევია.

7 მაისს ტფილისში, მუშტაიდის ბადს ზემოდ, დიდ-უბის მინდორზე მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ გასინჯა იგი მხედრობა. დიდმალი ხალხი დაესწრო გასინჯვის დროს. ბოლოს მისმა უმაღლესობამ უბძანა მხედრობასა, რომ ქართველები ერველთვის ერთგული ეოფილანო რუსეთისა. გაქაცობას და ქველობას ქართველისას თქმა აღარ უნდაო, ეგ უკელამ იცისო. იმედი მაქვსო თქვენს ისეთის სახელით გამოაჩენთ თავსაო, როგორის

სახელითაც გამოჩენილნი არიან თქვენი მამა-შაპანით. ამის პასუხად დაიგრიალეს „ურა“ და ეს „ურა“ დიდ-ხანს არ შეწევეტილა.

გუბერნიის მარშალმა მის იმპერატორებითს უმაღლესობას მოახსენა შემდეგიც: „განმათავისუფლებელის – ხელმწიფის უწმინდასამა გულმტკივულებამ ჩაგრულთა ერთათვის, აღმრა გული საქართველოს თავად აზნაურობისა ამ გულმტკივნეულებით გამოწვეულმა თავად-აზნაურობამ თვისნი შვილნი მიანდო თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას. წარმართეთ იგინი, ხელმწიფე, საომრად და მიანიჭეთ სახელოვანი შემთხვევა, რათა ამათაც სისხლი თვისი შეჭრირონ დიდებულს საქმეს, ტანჯულთა ერთა განთავისუფლებისას“.

9-ს მაისს ტფილისში, თ. ზაქარია ანდრონიკაშვილის სადგომის წინ მოედანზე მხედრობას პვლავ ზარაპლისი უხადეს. ზარაპლისზე გარგა ხალხი დაქსწრო. სხვათა შორის ბევრი იუვნენ ქართველთა დიდ-კაცის გვარისანი ქალნი, თუ კაცნი. თ. გრ. დიმ. ორბელიანმა მეტად მხერვალე და საგრძნობელი სიტყვა უთხრა მხედრობასა. ბევრმა ქალმა იტირა. გუბერნიის მარშალმა ივერიის ღვთის-მშობლის ხატი უძლენა მხედრობასა, დალოცა და უთხრა, ივერიის ხატი გიმღოდეთო ამ სახელოვანს საქმეში. მხედრობის უფროსმა თ. იოსებ ჯორჯამებ თ. ორბელიანს ზახენად უგო, რომ ქალთველი მამა-შაპანის სახელს არ უღალატებენ. ქართველებმა იციან, რომ ნამრახსა სიცოცხლესა სახელოვანი სიტყვილი შსჯობსო.

გუბერნიის მარშალმა მიიწვია მთელი მხედრობა იქავ მომზადებულს საუზმეზე. თითქმის კველა იქ დამსწრებმა ქალმა თუკაცამა მხედრობის სადღეგრძელო დალიქს. მცირეს ხანს შემდეგ გაიმართა ქართული სიმღერა და ერთმა მომღერალმა ეს ლექსი დაიძახა:

„ვისაც მოუკლავს ის მოკლავს ნადისა ბარის ტფისასა, კანურა დანარა, ისაღონეული გულ-გულ რა სამსა მტრისასა.“

ქალებმა აქავ მოაგროვეს უკლები, რომ დრომა შეჭრირონ და უძლენან მხედრობასა. დრომაზე დაწერილი იქნება: „დედანი და დანი შვილთა და მმათა. თქვენთან არს დმერთი და სახელი მამა-შაპანთა.“

– ქუთაისიდამ იწერებიან: „რა მშვენიერი დიდა იცოდა ჩვენში მშვიდობიანობის დროს! ნაზად ამწვანებული და აუგავებული იქო არე-მარე, თითქო ბუნებამ ათასნაირის უერადით ხაქერი მშვენიერი მწვანე ხავერდი გადაფარა დედამიწის ზერგსაო, თან ისმოდა ურინევლოთა გალობა და ჭიშტიკი. განგრძლებოდი ხოლმე ამ ჩვენს მტვრიანს, შერიანს, გესლიანს ცხოვრებასა და მიგეცემოდი დამშვიდებულის ბუნების მშვენიერებას!....

„დღეს კი სხვა ნაირი სურათი წარმოგიდგებათ. დილა ისევ მშვენიერია! მაგრამ ეს მშვენიერი ადგილები გაჯექილია ცხენის ხლიქითა. უზრუნველი გალობა ფრინველთა მიმწვდარია. იმ ხეთა ქვეშ, რომელთ წერაც ფრინველი შემოსხდებოდნენ ხოლმე, ეხლა დაბანა ებულია ახლად-გამოსული ემაწვილ-გაცობა ჩვენის თავად-აზნაურობისა და გამზადებულია საომრად. მათის სალაშქრო სიმღერებითა არე-მარე დაერევებულია. დიდის გულის ცემით და აღტაცებით მოელიან იმ დროს, როდესაც გავლენ სამშობლოს დასაცველად. ეხლა მე ამათი მაურებული გარ. ვინ იცის? ამათმა ფეხის ხმამ იქნება მეც ამიტოლიოს. როგორდაც ამათ მაურებულს გული მერჩის!“

– ჩვენ შევიტევთ, რომ ტფილისის სასულიერო სასწავლებულში ქართულის ენის მასწავლებელნი ქართულის ენისათვის დადებულ დროსაც რუსულს სამღოთ ისტორიას და სხვა საგნებს ანდომებსო. მასწავლებელი იმით ამართლებს ამ თავის ქცევას, რომ შეგირდებმა ვითომც ქართული უკვე გარგა და იციანო. საწეალო ქართულო ენაგ! ნუ თუ კიდევ დიდხანს იქნები ბედისაგან სასაცილოდ აგდებული!.....

– საგარეჯოდამ იწერებიან: „გაცნობებთ ერთს საშინელს უბედერებას, რომელიც მოხდა საგარეჯოში 20-ს აპრილს, ერთი ზატარა ხეთის წლის ქალი კაბას იმრობდა ბუხართან. დედა მეზობლებმა კოფილიერო. წაეკიდა საწეალს ბავშვს უეროდ ცეცხლი; გამოვარდა გარედ, იწიგლა, იკიფლა და ვიდრესაშველი იუვერგის თურმე გააგონა ბოლოს გაეგოთ, მაგრამ ვიდრე მიეჟელებოდნენ, ტანისამოსი მთლად შემოსწოდა ტანზე და თვითონაც საწეალი გარუჯულიერ შაგათ. ქონიდა სდიოდა თურმე ტანიდან. ერთის წუთის შემდეგ სულიც განუტევია უბედერს.“

– ჩვენ შევიტევთ, რომ ხოლის სასწავლებულში ორმოცხედ მეტი მოწაფენი არიან. ამათში შვიდამდე ზატარა გლეხის ქალები ურევია და გლეხები თურმე სრულებით არ თაკილობენ, რომ ქალ-ვაჟი ერთათ სწავლობენ. ამასთან ისიც შევიტევთ, რომ ხოლის ახლო-მახლო სოფლების გლეხებსაც სწავლის დიდი სურვილი აქვთ. ასე გასინჯეთ, იწერებიან, – რომ ხოლის მასწავლებელს მოსვენებას თურმე არ აძლევენ, ჩვენს შვიდებსაც ასწავლებო. მაგრამ, საუბედუროდ, სოფლის სასწავლებულის სახლი ისე ზატარაა, რომ მასწავლებელს ნებას არ ამლევს მათი კეთილი სურვილი ასრულოს. უნდა იმედი ვიქონითთ, რომ მაზრის უმფროსი ამ უველასათვის სასიამოვნო გარემოებას უურადებას მიაქცევს და ურჩევს მამასახლისებს, რომ სასწავლებლის დაარსების თაოსნობა გასწოონ.

## ორიოლე სიტყვა ხოვლის სასწავლებელზე

(ივერიის კორრესპონდეცია)

1-ს მაისს მამასახლისმა ჩემის თხოვნით შეკრიბა ხალხი. ხალხი ცოტ-ცოტაობით მოგროვდა და ერთი ახირებული ეაქანი გაიმართა. ერთი ამბობდა: „რაკი შეოლა დაარსდა აქ, ჩვენ სოფელში, ისევ აქ უნდა დარჩეს, მაგის გაუქმება აღარ შეიძლება, ეს ჩვენგან დიდი მუხანათობა იქნებათ და დიდად შესარცხვენიო“. მეორე ამბობდა: „რას ამბობ კაცო? შენ შვილი შეოლაში ლამაზად გეზდება და იმიტომ ლამარაჟობ მაგებსა. მე კი არა მკითხავ, ლამის სული ამომივიდეს ამდენის მუშაობითა. სადა მცალიან შეოლის აშენებისათვის, — არც შეოლა მინდა და არც შვილი მეავს იქ გასაზღელი.“ „აგრე არ შეიძლება ჩემო ბერო, უთხრა ერთმა უფრო გონიერმა გლეხმა სოლომ, ჩვენ მარტო ჩვენთვის კი არ უნდა ვცდილობდეთ, ჩვენი მომმებისთვინაც ცოტა-ოდნათ მაინც უნდა ვეცადნოთ. შენ აგინირნია შვილი არ მეავსო, სუველანი ერთმანეთისა შვილებიცა ვართ, მექინიცა და მამებიცა.“ ბოლოს მეც ჩავერიე და მაღლის ხმით დავიძახე: „ხალხნო, ვევლას გ სურთ თუ არა, რომ თქვენ სოფელში ის შეოლა, რომელიც ეხლაც იმეოფება, დარჩეს აქ საშუალოდ თქვენის შვილების სასწავლებლად და თქვენ სანუგემოდ? თუ გ სურთ, მიშვემთ ჯეროვანს შემწეობას რასმეს თუ არა? ახალი შენობა შეოლისათვის უქმდება ამ თროვეში უნდა აშენდეს, რადგანაც ის სახლი, რომელიაც ეხლა შეოლა იმეოფება, ჯერედ არის ცუდი თქვენის შვილებისთვის და მეორედ გვაცლევინებენ კიდევცა.“ აქ მესიტება აღარ გამათავებით და ერთ ხმად შემომახეს: ჩვენ აქ შეოლის არსება გვსურს კიდევცა და ვევლაფრით შემწეობასაც მივცემთ. ჩვენ მაგ სამარცხვინოს საქმეს არ ვიზამთ, რომ შეოლა მოგვემალოს და ან რაღა ხალხნი უნდა გამოვჩნდეთ იმათ თვალში, რომლებიც ჩვენთვინ ზრუნვენ. „მაშინ მევუთხარი: მაშ თუ ეგრეგ ულ-ფიცხად ეგიდებით ამ თქვენთვინ უსაჭიროეს საქმეს, ამოირჩიეთ თქვენ სამიოდ ოთხი კაცი და მიანდეთ მათ სახოგადოდ ურველივე საქმე შეოლისა. მაშინვე იმათ ერთ ხმად ამოირჩიეთ ოთხი კაცი მზრუნველად. ეს მზრუნველინი არიან: სოლო ჭალალალი, სოლომონ მერებაშვილი, ბერო კოშაძე და სვიმონა ჭალალი. ამათ გამოუცხადა ხალხმა, რომ როგორც სურდეთ ისე იმოქმედონ შეოლის შესახებ საქმეები. თუმცა ზოგიერთა გლეხები კიდევ წინააღმდეგს დააპარაჟობდნენ, მაგრამ როცა თვითონ თავის მომებმა ეოველისფერი დაწვრილებით ჩააგონეს, სიხარულით მოაწერეს ხელი იმ განახენს, რომელიც ამის თაობაზე შედგა და რომელიც უ. მაზრის უმფროსს წარუდგინეს დასამტკიცებლად.

საჭიროდ გრაცხ მოვიხსენიოთ, რომ დიდი და გულმსურებალე მონაწილეობა მიიღეს ამ ერთობაში თ. იღლია ალექსანდრეს მემ ჯავახოვმა, გიგო იოსების მემ ჯავახოვმა, დავით ქაიხოსროსმემ ჯავახოვმა და გლეხმა სოლო ჭალალმა. ესენი გაცხარებით ხან ერთ გლეხების ჯგუფს უმტკიცებდნენ შეოლის საჭიროებას სოფელში, ხან მეორეს. ამის თვის ამ ბირთ გულითადს და ღრმა ზატივისცემას ვუმდგნით, როგორც ხალხის ქეთილდღეობის მოსურნეებს. არც ამ სოფლის მღვდელმა დაიშურა თავისი სიტეპა და მეცადინეობა ამ ქეთილის საქმისათვის.

მასწავლებელი სოფლის შეოლისა ა. ც.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

რაც წარსულს კვირას ამბავი მოვიდა ომიანობაზედ, რასაცირკელია უელაზე უფრო შესანიშნავი ქალაქის არდალანის აღებაა. აი რა დექმა მოვიდა ახალებალაქიდგან 6 მაისს: „არდალანი, მისის წინა სიმაგრეებით, სამოცი ზარბაზნით, არტილიერიის მასალით და აგრეთვე ოსმალოს თოთხმეტი ბატალიონის ლაგირით და ქალაქით მის იმშერატორის უმაღლესობის ფეხთაშემ დაქმხო. არის 5 მაისს 3 საათიდამ 6 საათამდე ზარბაზნებს ქსროდნენ არდალანს და დაანგრიეს ციხის სიმაგრეები. სადამოს 6 საათზედ ერევნისა, ტფილისისა და ბაქოს ზოლები და საპერები იქიმით მიადგ ხენ ციხეს. მტერი ვერ გაუმაგრდა და გაიქცა ოსმალოს მხრით ბევრი დახოცილა.

ტევეთ ერთი ფძიაც დარჩენიათ. არდალანი აუდიათ ლენკრალ გეიმანის წინამდებლობით.

ეს ამბავი რომ მოვიდა იმავე დილას ჩვენ ქალაქი დიდი ზარბაზნის სოლოა გაიმართა. მერე ათ საათზე სიონში არქიელმა ზარაკლისი გადისადა. დიდი ზარალი მოხვდია ოსმალოს არდალანის აღებაზე რუსის მიერ. თითქმის ასი ზარბაზნი დარჩენიათ ჩვენებს. არდალის მცხოვრებლებს უთქვამთ, რომ ოსმალოს მხრით სამი ათასი კაცი დაიღუპა (მოკლუდი და დაჭრილი). რა ზარალი მოუვიდა ჩვენ ჯერ წნობაში არ არის მოუვანილი; ჯერ-ჯერობით კი იციან, რომ დაჭრილი და დახოცილი ერთად არის ცხრა აფიცერი და 385 ხალდათი. მეორე დეპეშა ამბობს, რომ ეს რიცხვი ხუთასამდი ადისო. გარდა ამისა თოხი აფიცერი და 180-მდე სალდათი დაჭრილა. არდალნის აღების შემდეგ რუსების მიერ დაჭრილ ადგილას ჩვენებური მმართველობა დაუწესებიათ. ეს ადგილი მთლად რამდენიმე მაზრად დაუცემათ და უფროსად დენერალი ზოჯო დაუნიშნავთ. მაზრის უფროსებად შემდგევი

შირები განუწესებიათ შესხიევი, მეფისოფი, სულხანოფი, უარბეგოფი, შაღუბათოფი, დანარჩენი ადგილობრივი მცხოვრებითაგანნი არიან. სასამართლო იგივე ოჩება, როგორიც უწინ იქო ამ ქვეუანაში

— 4 მაისს, დენერალს ტერგუპასოფს სურფ-ოჭანესიდგან თავისის ჯარის ერთი ნაწილი უკან ბაიაზეთს გამოუგზავნია, რადგანაც შეუტევია, რომ მტერი ბაიაზეთისაკენ იწევსო. ეს ჯარი დენერალ ამილახვარის წინამდღომდლობით, იმავე დღეს ბაიაზეთში მისულა. ოსმალოს ჯარი კი, რომელიც ბაიაზეთისკენ მიდიოდა — განისკენ დაბრუნებულა.

— 4 მაისს რუსის ჯარს უარსი უთვალიერებია და მტერს შეხვედრია ცხარი ბრძოლა გამართულა, რომელშიაც მეტადრე დაღისტანის ჯარს თავი გამოუხენია. ამ სროლაში 64 ოსმალო მოუკლავთ, 2 ტემპი დარჩენიათ. ბევრი იარაღი და ცხენი წაურთმევიათ. ჩვენის მხრით ერთი მიღიცის აფიცერი და ოცი ცხენოსანი ჯარის კაცი მოუკლავთ; დაჭრილა: ხუთი აფიცერი მიღიცისა და 54 ჯარის კაცი. გარდა ამისა დაჭრილათ. ილია ჩოლოვაშვილი.

— ამბობენ რუსის ჯარი დუნიაზე გადასულა, გადუვდია ბრაილოვის ახლოს და დაბრუჯში ომი აუტებიაო.

ჯერა არავითარი შესანიშნავი საქმე არ მომხდარა დუნიაზე. ამბობენ რომ რუსები თოთხმეტი აღავას ააშირებენ დუნიაზე გადასულასაო.

## საზოლიტიკო მიმოხილვა

**ინგლისი** — მართლა და ცხარი ბარსი გაიმართა ინგლისის ბალატში გლადისტონის წინადაღების შესახებ. \*) თუმცა ეს წინადაღება სხვა ბარლამენტის წევრთა შეოხებით ცოტად შეიცვალა, მაგრამ მისი უმთავრესი ხასიათი მაინც კიდევ კრაფტად მოსაწონი იქო მთავრობის ბოლოიტიკისათვის მაღიან მწარე სიტევა მიშმართა გლადისტონმა მთავრობას: „აქამომდე ჩვენის მთავრობის მოღვაწეობა მხოლოდ იმაზედ იქო მიმართული, რომ ოსმალეთი დავდუბოთ, თქვა გლადისტონმა: ამ გვარი ქცევა ჩვენის მთავრობისა აუცილებლად ომს გვიქადისო, და მერე რა ომს? ეს ომი ოსმალეთის დასაცველად კი არ იქნება ატებილი, არამედმას სხვაისეთი მიზეზი გამოუხნდება, რომელსაც ბრიტანიის სარგებლობად ჩაგვათვევინებენ. (ისმინეთ, ისმინეთ) ერთი მითხარით, რას ეძახით ოქენებ ბრიტანიის სარგებლობას? რა განხრას გვითარ იქმული ეს ფრაზა, რომელიც იქ ჩვილია, რომ საითაც გნებავთ იქიდ გაიწევა? დააგვირდით

\*) „კერძა“ № 10.

ინგლისის სახელმწიფოს მდებარეობას; შეხედეთ რამსიმორეზედ გაფარვდინეთ ხელი ამ ჰატარი კუნძულიდამ. მთელ ცისმირები არ მოიძებნება იმისთვის ადგილი, სადაც ჩვენს გაჭრობას ფეხი არ შეედგას. ახლა მიბრძანეთ, განა შეიძლება დედამიწის ზურგზედ თრს სახელმწიფოს ლაპარაკი რამ მოუკიდეს სადმე და ბრიტანიის სარგებლობას ასე თუ ისე არ შეეხოს? განა შეიძლება სადმე ომი ასტედეს და ჩვენ მიზეზი არ მოგვცეს ომში გარევისა იმ საბუთით, რომ ჩვენი სარგებლობა ამას ითხოვსო? ამისთანა მდგომარეობაში ჩვენ მეტადრე ინდოეთმა ჩაგვაგდო ჩვენ წავედით დედა-მიწის მეორე ნააშირას როგორც მოვაჭრეთა საზოგადოება, დავიჭირეთ ინდოეთი და დღეს იქ ჩვენ მფლობელობის ქვეშ არის სივრცე, რომელზედაც სცხოვრებს თრასი მიღიონი სული, და კიდევ ვიძახით რომ იმ სახელმწიფოთა, რომელნიც ინგლისისა და აღმოსავლეთის ქვენების შორის გზაზე მდებარეობენო, ჩვენდა დაუკითხავათ ფეხიც არ უნდა გააჭსმრანო. ერთს სახელმწიფოს ვეუბნებით: ხელი არ გაანძრიოთ. ბათუმში, შავ ზღვაზე, რადგანაც ბათუმი და არზორუმი ერთ დროში გზად შეიქნებიან აღმოსავლეთის ქვენებისკენ. მეორეს ვეუბნებით: ხელს ნუ გაანძრევ სირიაში, ბაღდადში, რადგანაც ეფრატის მინდორნი შესაძლებელია ადრე თუ გვიან უკეთეს გზად განვითარებს აღმოსავლეთის ქვენისაგნო, სუეცის არხი საერევლთაო სარგებლობისათვის იქ გაჭრილი, მაგრამ ჩვენი ბოლოიტიკოსი ამბობენ, რომ ჩვენ აქ უფრო უსირატესი უფლება გვაქვსო ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფოს და ქვეუანასაა.“

„არა ვითარი შიში არ უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთის მოქმედება რაიმე ვნებას მოუტანს ინგლისის სარგებლობასა. რუსეთი ისე უგუნერი არ არის რომ აგნოს ინგლისესა. თუ ამბობთ, რომ რუსეთი თავის საკუთარს სარგებლობას ექბს და მისს მოქმედებას კაცი ვერენდობაო, მაში მარტორუსეთს რაღად დაუთმეთ უმთავრესის საქმის აღსრულება (სლავიანების განთავისუფლება)? მე იმედი მქონდა მქონდა, რომ ჩვენ საერთოდ ვეცდებოდით თვით მმართველობა დაგვედგინა აჯანელებულ პროვინციებში, იქ რომ უცხო მფლობელობის ქვეშ იგინი არ ჩაგვეუარა. „გარდა ამისა გლადისტონმა პსოფია, რომ თავის ბოლოიტიკის გასამართებლად ინგლისს მოჰევს მაგალითად ის ბოროტებანი, რომელიც რუსეთმა პოლშაში მოახდინა. ახლა, რატომ თქვენ თქვენს მოქმედებას კი არა პსინჯაზოთ? ინგლისს რაღად ავიწევდებაო ის უდიერი, უმსგავსო მოქმედება, რომლის მალითაც მან მოსზო ინდოეთის აჯანელება. განა მარტო ეს არის? კიდევ ბევრი სხვა ბოროტება მოსდევს ინგლისის მთვარების მოქმედებასაო. „უმთავრესად იმას

გაუვეღო მთავრობას,“ პლეიგა გლადსტონმა, რომ იგი ეოველთვის უგუნურად უადგილებდა რუსეთს მის საქუთარის სარგებლობის დევნასა და მის გაფლენის გაძლიერებასა. განა საშიძი არ არის, ქრისტიანეთი ის აზრი იქნიონ, რომ მათ რუსეთის გარდა სხვა შემწე. არავინ არა ჟევგო“. „ოსმალეთის აჯანელებულთა საქმე ეოველ იმ საქმეზე უწმინდესია, რომელსაც კი ოდესმე აუდელვებია ადამიანის გული, რომელსაც კი ოდესმე გაუქაცობისათვის ხმალი ამოუღებინებია. შეგვიძლიან განა ჩვენ ვთქვათ, რომ ამ საქმეში ჩვენ ჩვენი მოგაბლეობა ავასრულეთ? იუო დრო, როდესაც თავისუფლების იმედი ინგლისტებ იუო მიქცეული. სადაც კი რომელსამე ქეთილშობილს მიღრევილებას ფრთა შეუსხავს და უმაღლესირამგრმნობა კაცის გულში დამრულა, ჩაგრულნი ინგლისისკენ მიჰმართავდნენ ხოლმე თავის გვდრებას. ინგლისის ხალხი, რომელმაც აიგო უმაღლესი შენობა თავისუფლებისა, ეოველთვის გამჭადებული იუო სხვების საშეელად. რა დასეგნა გამოდის აქედვან? რომელი ზოლიტიკა უმჯობესი? ეს მაღალი ზენერბითი ზოლიტიკა, თუ ის, რომელიც ინგლისის ინტერესებზე არის მომართული? თქვენ გევბინებიან, რომ ის ხალხი, რომელიც უკანასკენებლად დაინტერბის იმ ქვექანს (ეს ოსმალეთზე თქმული), იგი ადაგებს მის ბერება. აი ამაზე უნდა მიაქციოთ უკრადღება. ერთმა ნაწილმა ამ ქვექნისამ-შერწევ თვინელთა და ბოსნიელთა-ისურვა დაიბრუნოს რაც წაერთვა. მეორე ნაწილი დგას ჩერნოვორიის მთაზე და გამზადებულია სელემეორებ და ხვდეს ოსმალებს და დაუბრუნოს ამ ქვექნებს თავისუფლება და მშეიდობიანობა. გარდა ამისა, კიდევ ერთი ნაწილი-ხეთი მიღიონი ბოლგარიელები-ტანჯული, მიწა-სთან გასწორებულნი თქვენ გაწვდიდათ ხელს, თქვენ გემუდარებოდათ შემწეობას და მფარველობასა. იგინი გეუბნებოდნენ თქვენ, რომ ჩვენ არ გვინდაო არა რაიმე დაგავშირება არც რუსეთან და არც სხვა სახელმწიფოსთანაო, იგინი მხოლოდ ნატრულობენ გათხავისუფლებას შეურაც-უფისა კირთებისაგან, ამ კირთებისაგან, ამ მწესარებისაგან მათს დამსხსნელს დიდი სახელი მოელოდდა და ეხლაც არ არის გვიან, რომ ეს სახელი დაიგდოს გაწმა. იმედი მაქსე, რომ ჩვენ საშინისტომი იმისთანა კანქი მოისოვებიან, რომელიც ეცდებიან ამ სახელის შოგნისათვის. კიმეორებ, ეხლაც არ არის გვიან რომ ეს სახელი მოვისოვოთ, იგი საკმაოდ დააჯილდოებს მას, ვინც ეცდება მის მოაწებას.“

აქედვან ცხადია, რომ გლადასტონს აღმოსავლეთის საქმეში რუსეთის და ინგლისის შორის დაახლოება უნდა, ე. ი. ინგლისის ენდანდელის ზოლიტიკის სრულიად გამოცვლა. გამოიცვლება თუ არა ეს

ზოლიტიკა, ამისი ჯერ არავინ იცის, მაგრამ ამ გლადასტონის სიტემას ის შედეგი კი ჰქონდა, რომ მისა და მის მეგობრებთა შორის უთანხმოება ცოტად თუ ბევრად შესწევიტა.

**საფრანგეთი.** ლებლონმა რომ გაათავა თავისი სიტემა, \*) წამოდგა საშინისტოს ბრეზიდენტი, ჟიულსიმონი და სთქვა შემდეგი: „მე, როგორათაც დებლონს, სახეში არ მაქს კათოლიკის სარწმუნოების მტრობა. მე ამაზე კიდევ მეტს ვიტევი: მე ვერ მოვითმენ, რომ პსდევნონ იმ სარწმუნოებას, რომლისაც მე სრული ჰატივი და სიუვარული მაქს. მთლად კათოლიკის სამდვრელოება კი არა, მისი ერთი ნაწილია მხოლოდ ახალის დროის საზოგადოების მულგარების დირსი.

„მართალია, იუო დრო, როდესაც ეპპლესიას დიდი მაღალა და უფლება ჰქონდა, მაგრამ მაინც მის უფლებას მაშინ საზღვარი ედო. მას ნება არა ჰქონდა დაექურო ის უფლებანი, რომელნიც მარტო სახელმწიფოს ეკუთვნიან. არც ეხლა აქვს ეგ უფლება, მაგრამ ეპპლესია თავისთავად იჩემებს. მაშასადამე ჩვენ (ე.ი. მთავრობა, რადგანაც ჟიულ-სიმონი, როგორც მინისტრი, მთავრობის სახელით ლაპარაკობს) თვით ეპპლესია უნდა დაგაექნოთ იმ საერო კანონის ქვეშ, რომელსაც ემორჩილება ეოველი მამულისშვილი. ამისათვის მტკიცე რამ სამუალება უნდა ვახმაროთ, შესახებ ეპპლესის მოძღვრებისა, რომ მე იმასავით დიდ თავისუფლებას ვერ გამოვიჩენ. ორგვარი მოძღვრება არის ეპპლესის სახელითა: ერთი ის, რომელიც ჰქონისა და გონების ახმობს; მეორე ის, რომელიც უოგლად საქმები და ჰატივ-საცემია. გათოლიკების რაზმიც ამის მიხედვით ორგვარია: ერთი ემორჩილება კანონს და კანონის მაღით სუფეს, მეორე-იგია, რომელიც ადგენს რაღაც კომიტეტებს და სახელმწიფოს მორჩილებისას არას ფიქრობს ამათ რასაკვირველია, მთავრობა არავითარ უფლებას ვერ მიჰსევებს და სასტიკად უნდა მოქმედს, რადგანაც გეგნი შეადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში.“ ბოლოს ჟიულ-სიმონმა სთქვა: „ის დასამრახისი ეოფა-ქცევა, რომლის მიზეზითაც გაიმართა ეს ბაასი, ეკუთვნის მხოლოდ ეპპლესის მცირე ნაწილს, და სამდვრელოთა უმრავლესობა თვითონა ჰსწუბეს ამაზე.“ მაშ თუ ჰსწუბეს, რატომ არ აცხადებს თავის უგმაუფილებასონ“, მისმახეს რესპუბლიკელებმა, რომელთაც რასაკვირველია, არ მოეწონათ ჟიულსამონის სიტემა, რომელიც

\*) „ვერა“ № 10.

მეტად ცივად ეჩენათ და რომელიც არაფერს გადაწევებით დასჭირდა.

დეპუტატთა პალატის წევრთა უმრავლესობა რესპუბლიკულებს გაუთვის, და იმავე დღეს რომ დაბოლოვებულიერ კლერიკალებზე ბაასი, უქმდელია პალატა თავის უთანხმოებას და სამდურავს გამოუცხადება სამინისტროს, და ამის გამო სამინისტრო სამსახურიდამ გამოვიდოდა. რესპუბლიკულებმა იგრძნეს ესა და გარდასწევიტეს, რომ ბაასი მეორე დღისათვის გადიდოს. მეორე დღეს გამოჩენილმა და გავლენიანმა რესპუბლიკულებმა გამშეტანილება მართოსთქვა დიდად შესანიშნავი სიტევა, რომელსაც ჩვენ შემოვლებით გამოვიდებთ.

გემბეტა აცხადებს, რომ მისი სიტევის საგანი სარწმუნება არ არის. „სარწმუნებაზე კი არა კლაპარაკობო, პსთქა მან: არამედ იმ საპოლიტიკო დასტევდ, რომელიც სარწმუნების ნიდაბს იფარებს და ამით აწდენს ხალხს. ეს დასი სარწმუნების ხელში ისე ათამაშებს, როგორც იარაღს სახელმწიფოის სიმაგრის დასარღვევად. აი საქმე რაში მდგომარეობს და აი რა უნდა ადგიაროთ გულწრფელად. ერველის მნიდგან მოესიგენ ჩვენ ქვეენას სხვა და სხვა დასხები, აიყლეს იგი და თავს სარწმუნების სახელით იმართლებნ. ამ რიგი კაცები სხედან სენატში და დაიღოლობენ კლერიკალების განასახის მიხარონ მთავრობა. ამათი ნაეოფია ის შეტიცია (\*), რომელსაც ეხდა ატარებენ ხელის მოსაწერად, თუმცა ეგ მთავრობისგან აკრძალულია.

„თუ პაპი თავის ბულლას საფრანგეთში აცხადებს მთავრობის დაუკითხავად, თუ ესისკონსები მერებს უგზავნიან კანონით აღერძალულ წერილებს, ამის მიზეზი მთავრობის უძლეურებაა, რომელიც დაპსხებდა მას ამ შვიდის წლის განმავალობაში სხვა და სხვა შეცდომების გამო. კლერიკალები სული ისე გამჭვიდომიათ მმართველთა კაცთა, რომ კლერიკალებს შეუძლიანთ რაც უნდა ის ჩაიდინონ და მთავრობის მოქელე კაცთა შორის ამაში სრული შემწეობა მოიპოვონ. აი საიდგან მოგველის ნამდვილი და მტკიცე შიში. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ ეხდა კვითხულობთ, ნუ თუ სახელმწიფო გაკლების მსახურიათ?

„აი ამ რიგად მთავრობის შემწეობით დაიმედებულნი, კლერიკალები დაიღოლობენ ჩაიგდონ ხელში თვით ხალხ-

\*) ამა წინ კლერიკალებმა ქადაღდო შეადგინეს, სადაც ქადაღებული იყო შესაწესადი ძეგლისას ბაბისა და თხევნა მთავრობისადმი, რომ მას მიიღოს მთავრობა ბაბის დასახელდა. ამ ქადაღდო აჭარებდნენ და ხელის მთწერლებს აგრძელებდნენ. ბაეშესაც კარგი აწერის ედნენ ხელს, აგრძელებდნენ ხელის მთწერლი ბლობა შეკრიფთოთ.

იც, რომელსაც აჯერებენ რომ მისი კეთილ-მდგომარეობა მათზე არის დამოკიდებული. დრო არის ვისმაროთ, საზოგადოების დაცვისათვის, უოველი ღონისძიება და გაკლებია იმავე მდგომარეობაში ვამჟოფოთ, რომელიც მისთვის სახელმწიფოს მუნიციპატია. ეს ითხოვს არამც თუ მარტო სამოლიტიკო სარგებლობა, არამედ სამშობლოს მოუვარეობაც. კლერიკალებს პსურთ საფრანგეთი იტალიის რევოლუციის გადამტერონ და ომი აატენინონ იმ ხალხთან (ე. ი. იტალიულებთან), რომელმაც დაიცვა თავისი კანონიერი მფლობელობა; მათ პსურთ შეუმცირონ იტალიისადმი თანაგრძობა იმ მეორებს, რომელთაც სახელი გაითქვეს მაჯნეტის ომში \*. შეუძლებელია, რომ კლერიკალებს ნება მიუკით გარეშე საქმეთა მინისტრს იმ რიგად მოსთხოვონ პასუნი თითქო პაპის ბრძანებას უცხადებენო: შეუძლებელია, რომ ეპისკოპოსებმა, (რომელნიც მთავრობის მოქელენი არიან) საკვენოდ იქადაგონ იმ ომისათვის (იტალიისთან), რომელიც უოვლად სავნოა საფრანგეთისათვის. საჭიროა კლერიკალების ხელიდამ სახელმწიფო დავითხმათ.

„ორში ერთი: ან თქვენ ფრანციულნი არა ხართ და თუ ხართ კანონს უნდა დაუმორჩილდეთ.“

დიდად აღმრა პალატა გამშეტის სიტევაშ და დიდად ააღელვა.

